# პროგრამა 0716 სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქალაქი ბათუმი

2023 წელი





# პროგრამის „0716 სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ **მიზანი, ამოცანები და პრიორიტეტები**



**მიზანი** - სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების, საოჯახო მეურნეობებისა და მეწარმეებისათვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარების ხელშეწყობა



**პროგრამის ამოცანები:**

1. საოჯახო მეურნეობების კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა;
2. სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების განვითარების ხელშეწყობა;
3. სოფლად ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა;
4. სოფლად არსებული საწარმოების გადაიარაღებისა და საწარმოო საშუალებებით აღჭურვის ხელშეწყობა;
5. სოფლად ახალი სამუშო ადგილების შექმნის ხელშეწყობა.




**პროგრამის პრიორიტეტები:**

- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მხარდაჭერა;
- მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა;
- ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა;
- საოჯახო მეურნეობებში და სამეწარმეო საქმიანობაში ახალგაზრდების მხარდაჭერა;
- საოჯახო მეურნეობებში და სამეწარმეო საქმიანობაში შშმ პირთა მხარდაჭერა;
- საოჯახო მეურნეობებში და სამეწარმეო საქმიანობაში ქალთა მხარდაჭერა;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მხარდაჭერა;
- ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის მიმართულების პროექტების მხარდაჭერა.

# პროგრამის „0716 სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ ღონისძიებების **ბიუჯეტი**



**სულ დასაფინანსებელი თანხის მოულობა - 3,115,223.00 ლარი**

**მათ შორის,**





- სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა - **1,711,954.0 ლარი**



- სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა - **1,403,269.0 ლარი**

## პროგრამის ღონისძიება „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ **ფინანსური მხარდაჭერა**




ბენეფიციარის თანამონაწილეობა

არანაკლებ 30%

%

არაუმეტეს 70%

სამინისტროს თანამონაწილეობა

# პროგრამის ღონისძიება „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ **დაფინანსების მიღების პროცესი**

1. ფაზა — 2. ფაზა — 3. ფაზა — 4. ფაზა — 5. ფაზა — 6. ფაზა — 7. ფაზა



| 1. ფაზა | 2. ფაზა | 3. ფაზა | 4. ფაზა | 5. ფაზა | 6. ფაზა | 7. ფაზა |
|---|---|---|---|---|---|---|
| განაცხადების მიღება | რეესტრის ფორმირება | მონიტორინგი | ბენეფიციართა შერჩევა | ხელშეკრულებების გაფორმება | სახელშეკრულებო პირობების შესრულება | შედეგის მონიტორინგი |

! ღონისძიების ფარგლებში განაცხადების მიღება გაგრძელდება ღონისძიების მიმართულებების ბიუჯეტის ამოწურვამდე.

# პროგრამის ღონისძიება „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ **ფარგლებში** ფინანსდება / არ ფინანსდება

## ფინანსდება



**მემცენარეობა - 0.1ჰა-დან - 0.5ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე არსებული ან/ და ახალი** მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების მოწყობა, არსებულის აღდგენა-განახლება



**მეცხოველეობა -** თანადაფინანსება გავრცელდება განმცხადებლის მეურნეობისათვის შესაბამისი სიმძლავრის მანქანა-დანადგარების შესყიდვა



**სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებები -** ***მეურნეობის შესაბამისი*** სიმძლავრის სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებები, ამასთან ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდება მხოლოდ ერთი სახეობის და ერთი ერთეული ***სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა***, რომლის ღირ.-ბა შეადგნს **არანაკლებ - *500.0 ლარს*** და ***არაუმეტეს - 1,200.0 ლარს,*** *ხოლო* ***სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და ამხანაგობებისათვის (რომლებიც აერთიანებენ არანაკლებ 5 წევრს) არაუმეტეს - 20,000.0 ლარს,*** სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებისათვის დასაშვებია, ასევე მისაბმელი აგრეგატების (გარდა სატრანსპორტო მისაბმელისა) შესყიდვის თანადაფინანსება

## არ ფინანსდება

1. **უძრავი ქონება** (მიწა, შენობა-ნაგებობები), კონსტრუქციების, სამშენებლო მასალების, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები
2. **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო** დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე;
3. **საწარმოში წილის შესყიდვაზე;**
4. **კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების დაფარვაზე;**
5. **საოპერაციო ხარჯი;**
6. **საბრუნავი საშუალებები;**
7. **შესაღობი მასალები;**
8. **ცოცხალი ცხოველის შესყიდვა;**
9. **სასათბურე მეურნეობის მოწყობა, განახლება, აღჭურვა;**
10. **საოჯახო ღვინისა და სპირტის წარმოებისათვის საჭირო ინვენტარი და დანადგარი;**
11. ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და სატრანსპორტო მისაბმელის შესყიდვა;
12. სამინისტროს პროგრამების ფარგლებში **3 წლის** განმავლობაში დაფინანსებული ანალოგიური სახეობის წარმოების საშუალებები (გარდა ახალი მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურის ბაღის მოწყობისა).









**!** *საოჯახო მეურნეობას და სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებას უფლება აქვს ღონისძიების მიმართულებების ფარგლებში წარადგინოს* ***არაუმეტეს - ერთი განაცხადი, ამასთან არაუმეტეს ერთი მიმართულებით***

# პროგრამის ღონისძიება „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ **ფარგლებში წარმოსადგენი დოკუმენტაცია**



განაცხადი

ინვოისი






პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლ(ებ)ი

მიწის ნაკვეთის საკუთრების/ იჯარის / აღნაგობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან), იჯარის / აღნაგობის შემთხვევაში ამონაწერთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს იჯარის / აღნაგობის ხელშეკრულება



თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შემთხვევაში, ერთ-ერთი თანამესაკუთრე წარადგენს სხვა თანამესაკუთრეების ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას ან/და თანხმობას ან/და ყველა თანამესაკუთრის მიერ ხელმოწერილ თანხმობის დოკუმენტს, რომლის შინაარსისა და ხელმოწერების ნამდვილობაზეც პასუხისმგებელი იქნება დოკუმენტის წარმომდგენი





ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების შემთხვევაში)



წესდება / კრების ოქმი / (სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების შემთხვევაში) ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ

საექსპერტო/ აუდიტორული დასკვნა საჭიროების შემთხვევაში



## პროგრამის „0716 სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ ღონისძიება **„სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“**



**ღონისძიების ბიუჯეტი - 1,403,269.0 ლარი**

- თანადაფინანსება გავრცელდება: **20,000.00 ლარზე მეტს და არაუმეტეს 250,000.00 ლარს,** ამასთან წარმოდგენილი პროექტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს **1,500,000.00 ლარს;**

- **არაუმეტეს 200,000.00 ლარს,** დაფინანსდება საპროექტო ღირებულების არაუმეტეს **70%-ის** ოდენობით, მაგრამ **არაუმეტეს 100,000.00 ლარისა;**

- საპროექტო ღირებულება შეადგენს **200,000.00 ლარზე** მეტს, დაფინანსდება საპროექტო ღირებულების არაუმეტეს **50%-ის** ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს **250,000.00 ლარისა.**



# პროგრამის „0716 სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ ღონისძიება „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“

ღონისძიებაში ფარგლებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ - ***ფიზიკურ და იურიდიულ პირ(ებ)ს.***



ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდება **ორ ეტაპად**:

**I. პირველ ეტაპი -** განიხილება ბიზნეს იდეა

**II. მეორე ეტაპი -** განიხილება ბიზნეს გეგმა

## *შეზღუდვები:*

- ✕ მონაწილეობის მიღების ***უფლება არ აქვს***:
- ✕ 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეებს;
- ✕ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებს;
- ✕ მოქალაქეობის არმქონე პირებს;
- ✕ საბანკო-საფინანსო ინსტიტუტებს (ბანკი; მიკროსაფინანსო, ლომბარდი და ა.შ.);
- ✕ ბენეფიციარი არ შეიძლება იყოს ისეთი იურიდიული პირი, რომელშიც პირდაპირ ან ირიბად სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკა ან/და მუნიციპალიტეტი ფლობს წილს, პაის და ა.შ.
- ✕ განაცხადის / პროექტის მიზნებისთვის გათვალისწინებულ ქონებაზე არ უნდა იყოს ***რეგისტრირებული ყადაღა***;
- ✕ სამინისტროს თანადაფინანსება შეიძლება გამოყენებულ იქნეს **მხოლოდ ძირითადი საშუალებების შესაძენად**.

## *არ ფინანსდება და შესაბამისად, ასევე ბენეფიციარის თანამონაწილეობის წილში არ გაითვალისწინება:*

- ✕ **საბრუნავი** და საოპერაციო ხარჯები;
- ✕ უძრავი ქონების (მიწა, შენობა-ნაგებობები), კონსტრუქციების, სამშენებლო მასალების, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შესყიდვა;
- ✕ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;
- ✕ საწარმოში წილის შესყიდვა;
- ✕ კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა;
- ✕ შესაღობი მასალის შესყიდვა და ღობის მოწყობა;
- ✕ ცოცხალი ცხოველის შესყიდვა;
- ✕ სასათბურე მეურნეობის მოწყობა, განახლება, აღჭურვა;
- ✕ ხარჯები, რომელიც არ შეესაბამება პროექტის მიზნებსა და ამოცანებს;
- ✕ სხვა ნებისმიერი ხარჯი, რომელიც ვერ დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით (სასაქონლო ზედნადები, საბანკო ანგარიშსწორების შემთხვევაში - საგადასახადო დავალება და ა.შ.).

პროგრამის ღონისძიება „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში **განაცხადის წარდგენა შესაძლებელია**

## ქობულეთი

თავისუფლების ქ. №100

## ხელვაჩაური

დიდაჭარის ქ. №23

## ბათუმი

აკადემიკოს მ. კომახიძის ქ. №119

## ქედა

26 მაისის ქ. №1

## შუახევი

სელიმ ხიმშიაშვილის ქ. №2

## ხულო

დ. აღმაშენებლის ქ. №3

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

## მადლობა ყურადღებისათვის!

ბათუმი, აკადემიკოს მ. კომახიძის №119

+995 (422) 24 78 41

contact@moa.ge